

ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური

საბჭოს მიერ, ოქმი №10, 20.10.2021წ.

რექტორი, პროფესორი


მარინა გვირგვალავა



შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში უნივერსიტეტი) სტრუქტურული ერთეულის - საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის (შემდგომში კლინიკა) ფუნქციებსა და საქმიანობის წესს.
2. კლინიკა წარმოადგენს ამბულატორიულ სარეაბილიტაციო ცენტრს, სადაც ტარდება სარეაბილიტაციო პროცედურების სრული სპექტრი.
3. კლინიკა საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
4. კლინიკა ფინანსური სახსრებით სარგებლობას და განკარგვას ახორციელებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.
5. კლინიკას აქვს მრგვალი ბეჭედი.
6. კლინიკა განთავსებულია უნივერსიტეტის ფაქტობრივ/რეგისტრირებულ მისამართზე: ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4.

მუხლი 2. კლინიკის ძირითადი მიზანი

1. კლინიკის მიზანს წარმოადგენს პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი სარეაბილიტაციო სამედიცინო მომსახურების გაწევა.
2. პაციენტების ძირითადი დაავადებების მკურნალობა და პრევენცია, ფუნქციური დარღვევების, გართულებების პრევენცია და მკურნალობა, ფუნქციური უნარისა და აქტივობების გაუმჯობესება, ტკივილის ზემოქმედებისა და სხვა შემზღვედავი სიმპტომების

შემცირება, უკეთესი სპორტული ფორმის მიღწევა, აქტიური და სპორტული ფორმის დიდხანს შენარჩუნება და ა.შ

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების სახეები

3.1. კლინიკა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას ახდენს შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურების გაწევით:

- ექიმის კონსულტაცია
- სამკურნალო ვარჯიში
- მექანოთერაპია (სახსრის დამუშავება)
- ორთოპედიული დაზიანება და ოპერაციის შემდგომი მოვლა
- ამპუტაციის შემდგომი რეაბილიტაცია
- ინსულტის შემდგომი რეაბილიტაცია
- თავის ტვინის ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია
- ზურგის ტვინის ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია
- ნევროლოგია (ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანების შემდგომი რეაბილიტაცია)
- მასაჟი
- აპარატურული ფიზიოთერაპია (ელექტროთერაპია, ულტრაბგერითთერაპია, მაგნიტოთერაპია, კრიოთერაპია)
- ლიმფო დრენაჟი

3.2. კლინიკაში თითოეული პაციენტისათვის ხდება ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, რაშიც ჩართულები არიან შემდეგი რგოლები: პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრები, პოტენციური მომვლელები და რეაბილიტაციის მულტიდისციპლინარული გუნდი (ექიმი, რეაბილიტოლოგი, ფიზიოთერაპევტი).

მუხლი 4. კლინიკის სტრუქტურა და მართვა

1. კლინიკას ხელმძღვანელობს - კლინიკის დირექტორი.
2. კლინიკაში დასაქმებულები არიან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ექიმები (მოწვეული და შტატში დასაქმებული), ფიზიოთერაპევტები/რეაბილიტოლოგი, ტრავმატოლოგ-ორთოპედი და დამხმარე პერსონალი: რეგისტრატორი, დიასახლისი.
3. კლინიკის დირექტორი:
 - 3.1.1 კლინიკის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს კლინიკის დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის რექტორი.
 - 3.1.2 წარმოადგენს კლინიკას შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში;
 - 3.1.3 უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილეს წარუდგენს კლინიკაში დასაქმებულ პირთან/კანდიდატთან დაკავშირებით მოსაზრებებს/რეკომენდაციებს.
 - 3.1.4 აწარმოებს მოლაპარაკებებს და კონტრაქტის გასაფორმებლად უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილეს წარუდგენს იმ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ვინც თანხმობას განაცხადებს კლინიკასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

- 3.1.5 უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილეს წარუდგენს მოსაზრებებს/რეკომენდაციებს კლინიკაში დასაქმებულების გათავისუფლებასთან, წახალისებასა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით;
- 3.1.6 ანაწილებს მოვალეობებს კლინიკის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;
- 3.1.7 კლინიკის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფს კლინიკისათვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე;
- 3.1.8 კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მიმდინარე საკითხს;
- 3.1.9 კლინიკის საჭიროებებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ფინანსურ ჯგუფს წარუდგენს შესაბამის მოთხოვნას.
- 3.1.10 კლინიკის დირექტორი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.
- 3.1.11 დირექტორი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლინიკის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
- 3.1.12 კლინიკაში დირექტორს ექვემდებარებიან, როგორც კლინიკის შტატში დასაქმებული, ასევე მოწვეული ექიმები, ფიზიოთერაპევტები/რეაბილიტოლოგი, ტრავმატოლოგ-ორთოპედი, ოპერატორი და დიასახლისი.
- 3.1.13 ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილეს ყოველკვარტალურად წარუდგენს ანგარიშს კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- 3.1.14 კლინიკის დირექტორთან შრომით კონტრაქტს აფორმებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 3.1.15 დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირი, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილესთან.
- 3.1.16 იგი ვალდებულია სრულად ანაზღაუროს მისი ბრალით (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) კლინიკისათვის მიყენებული ზიანი. (ანაზღაურება შესაძლებელია მათ შორის ხელფასიდან თანხის დაქვითვის გზით).

3.2. კლინიკის ექიმი:

- 3.2.1. ახორციელებს პაციენტების მიღებას და მოქმედი პროტოკოლებისა და გაიდლაინების შესაბამისად, კონსულტაციის გაწევას.
- 3.2.2. უზრუნველყოფს ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამის შედგენას და პროგრამის განხორციელებაზე მეთვალყურეობას.
- 3.2.3. უზრუნველყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა 100/ა) გაცემას.
- 3.2.4. ექიმი ანგარიშვალდებულია კლინიკის დირექტორის წინაშე.
- 3.2.5. კლინიკის ექიმთან შრომით კონტრაქტს აფორმებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.2.6. იგი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მისი ბრალით (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) კლინიკისათვის მიყენებული ზიანი. (ანაზღაურება შესაძლებელია მათ შორის ხელფასიდან თანხის დაქვითვის გზით).

3.3. კლინიკის ფიზიოთერაპევტი/რეაბილიტოლოგი:

3.3.1. არსებული პროტოკოლის/გაიდლაინების შესაბამისად, უზრუნველყოფს ექიმის მიერ დანიშნული ინდივიდუალური პროგრამის საფუძველზე, პაციენტის სამკურნალო ბარათის შექმნას.

3.3.2. პაციენტის სამკურნალო ბარათის საფუძველზე, უზრუნველყოფს პაციენტისათვის შესაბამისი პროცედურების ჩატარებას.

3.3.3. იგი ანგარიშვალდებულია კლინიკის დირექტორის მიმართ.

3.3.4. კლინიკის ფიზიოთერაპევტთან/რეაბილიტოლოგთან შრომით კონტრაქტს აფორმებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.3.5. იგი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მისი ბრალით (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) კლინიკისათვის მიყენებული ზიანი. (ანაზღაურება შესაძლებელია მათ შორის ხელფასიდან თანხის დაქვითვის გზით).

3.4. კლინიკის რეგისტრატორი უზრუნველყოფს:

3.4.1. პაციენტების მიღებისა და კონსულტაციის დაგეგმვას;

3.4.2. პაციენტის ამბულატორიული ბარათის შევსებას.

3.4.3. ექიმის დანიშნულების შესაბამისად ანგარიშსწორების (თანხის გადახდის) განხორციელებას;

3.4.4. ფიზიოთერაპევტთან სიანსების დაგეგმვას;

3.4.5. კალკულაციის მომზადებას;

3.4.6. სადაზღვევო კომპანიისათვის პირველადი ინფორმაციის შეგროვებას და შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის ინფორმირებას შემოსული პაციენტის შესახებ.

3.4.7. პაციენტის შემოსვლისთანავე სადაზღვევო კომპანიებთან პრობლემატური საკითხების გარკვევას და პრობლემის არსებობის შემთხვევაში საქმისკურსში დირექტორის ჩაყენებას.

3.4.8. სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4.9. სალაროში თანხის მიღებას და გაცემას, აგრეთვე სალარო-საკასო აპარატის გამართულ მდგომარეობაში ყოფნას.

3.4.10. თანხის ნებისმიერი მოძრაობის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო დოკუმენტით დადასტურებას.

3.4.11. საავადმყოფოში არსებული პროგრამის მიხედვით დასაქმებულთა გამომუშავების დაანგარიშებას და ბუღალტერისათვის გადაცემას.

3.4.12. შესაბამისი წესით სალაროს ყოველდღიურ დახურვას (ე.წ. Z-ანგარიშებით).

3.4.13. ანგარიშვალდებულია კლინიკის დირექტორის მიმართ.

3.4.14. კლინიკის რეგისტრატორთან შრომით კონტრაქტს აფორმებს უნივერსიტეტი რექტორის სახით.

3.4.15. ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მისი ბრალით (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) კლინიკისათვის მიყენებული ზიანი. (ანაზღაურება შესაძლებელია მათ შორის ხელფასიდან თანხის დაქვითვის გზით).

3.5. კლინიკის დიასახლისი

3.5.1. უზრუნველყოფს არასამედიცინო მოხმარების საგნების ადექვატურ დამარაგებას და მომარაგების დროულ განახლებას.

3.5.2. ყოველი თვის დასაწყისში დირექტორს წარუდგენს მოთხოვნას არასამედიცინო მოხმარების საგნებზე.

3.5.3. პასუხისმგებელია სამედიცინო და არასამედიცინო დანიშნულების ინვენტარზე.

3.5.4. თვალყურს ადევნებს არასამედიცინო მოხმარების საგნების ხარჯვას

3.5.5. თვეში ერთხელ ატარებს ინვენტარიზაციას და წერილობით წარუდგენს დირექტორის შესაბამის ანგარიშს.

3.5.6. უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას;

3.5.7. ანგარიშვალდებულია კლინიკის დირექტორის მიმართ.

3.5.8. კლინიკის დიასახლისთან შრომით კონტრაქტს აფორმებს უნივერსიტეტი რექტორის სახით.

3.5.9. ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მისი ბრალით (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) კლინიკისათვის მიყენებული ზიანი. (ანაზღაურება შესაძლებელია მათ შორის ხელფასიდან თანხის დაქვითვის გზით)

მუხლი 5. კლინიკის ქონება

5.1. კლინიკის ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას, რომელსაც კლინიკა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის სარგებლობის უფლებით იყენებს.

5.2. კლინიკის ქონების განკარგვის საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში.

5.3. კლინიკას ქონება (უძრავ, მოძრავი) სარგებლობაში გადაეცემა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერს ერთის მხრივ უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში და მეორეს მხრივ კლინიკის დირექტორი.

5.4. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო/დამატებით ქონების (უძრავი, მოძრავი) შეძენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში, კლინიკის დირექტორის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 6. მომსახურების ტარიფები

6.1. კლინიკაში მოქმედებს სარეაბილიტაციო მომსახურების ტარიფები, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

6.2. თითოეული მომსახურებისთვის შემუშავებულია კალკულაცია, რომელიც კლინიკის დირექტორის წარდგინებით დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

6.3. კლინიკაში მოქმედი სარეაბილიტაციო მომსახურების ტარიფებში ნებისმიერი ცვლილების შეტანის ან/და დამატების შემთხვევაში უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც შესაბამისი ბრძანებით დაამტკიცებს შეცვლილ ტარიფებს.

მუხლი 7. აღრიცხვა და ანგარიშგება

- 7.1. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას ახორციელებს კლინიკის ოპერატორი.
- 7.2. საბუღალტრო და სტატისტიკური მონაცემების საბოლოო ასახვას ახორციელებს უნივერსიტეტი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.
- 7.3. კლინიკის დირექტორი, ყოველი კვირის ბოლოს უზრუნველყოფს, სამედიცინო მომსახურებისას მიღებული თანხის გადაცემას, უნივერსიტეტის ფინანსური ჯგუფისათვის, რაზეც დგება შესაბამისი აქტი.

მუხლი 8. კლინიკის საქმიანობის კონტროლი

- 8.1. კლინიკის საქმიანობის კონტროლი ხორციელდება ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის მიერ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნიშნავს აუდიტორს.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

- 9.1. უნივერსიტეტს გააჩნია მოთხოვნის უფლება კლინიკის მიმართ არსებულ ვალდებულებაზე (დავალიანებებზე). ასევე, უნივერსიტეტი პასუხისმგებელი მესამე პირების მიმართ კლინიკის ვალდებულებებზე.
- 9.2. ნებისმიერი დავა უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო კლინიკაში დასაქმებულ პირებს შორის წყდება მოქმედი შრომისა და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.
- 9.3. კლინიკის დირექტორის, ასევე უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო კლინიკაში დასაქმებული პირების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სამუშაო და დასვენების დრო

- 10.1. კლინიკაში სამუშაო დრო განისაზღვრება დილის 09:00 -დან 21:00 საათამდე.
- 10.2. კლინიკაში შესვენების დროდ განსაზღვრულია ერთი საათი.
- 10.3. კლინიკაში სამუშაო დღეებია - ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით.

მუხლი 11. შრომის ანაზღაურება

- 11.1. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება დადგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

11.2. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება მითითებულია თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულ შრომით კონტრაქტებში.

მუხლი 12. კლინიკის საქმიანობის შეწყვეტა

12.1. კლინიკის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) უნივერსიტეტის რეორგანიზაცია;
- ბ) უნივერსიტეტის ლიკვიდაცია;
- გ) რექტორის გადაწყვეტილება.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

კლინიკის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით უნივერსიტეტის რექტორის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემით.